

გმირი *ნოსტოსის* გარეშე- ულისეს (ოდისეუსის) ბოლო მოგზაურობა  
„ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით

ქეთევან ჩოხელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: რომანული ფილოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცერცვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ჩოხელი

25.06.2021

## აბსტრაქტი

ჩვენ ვიცნობთ ჰომეროსის ულისეს (ოდისევსს), როგორც გამორჩეულ ბერძენ მებრძოლს, „სიბრძნით ზევსის თანასწორ“, ცბიერ და მოხერხებულ გმირს. აღფრთოვანებას იწვევს მისი სიფრთხილე, წინდახედულობა, ძლიერება და რაც, მთავარია - ცოდნა. ამავდროულად, გაოგნებულნი ვრჩებით, როცა აღმოვაჩინთ, რომ დანტე ალიგიერი „ღვთაებრივ კომედიაში“, კერძოდ, *ჯოჯობეთის* მერვე, „თაღლით მრჩველთა“ წრეში განამწესებს ჰომეროსის საყვარელ გმირს.

*ოდისეაში* აღწერილია კუნძულ ითაკას მმართველის, ოდისევსის თავგადასავალი, რომელიც ტროას ომის დასრულების შემდეგ, ათი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს სახლში დაბრუნებას, ვინაიდან მისი გზა დაწყებულია ზღვის ღმერთის, პოსეიდონის მიერ. *ოდისეა* სრულდება გმირის ითაკაში დაბრუნებით, რომელიც გაუსწორდება მისი ცოლის, პენელოპეს ხელის მთხოვნელებს და აღიდგენს პირვანდელ მდგომარეობას. დანტე კი სრულიად ცვლის ოდისევსის (ულისეს) ისტორიას. სახლში დაბრუნების ნაცვლად, ბერძენი გმირი გადაწყვეტს მიატოვოს საკუთარი სახლ-კარი და ოჯახი, რათა შეიცნოს ჭეშმარიტება. შესაბამისად, დანტესთან ვხვდებით ოდისევსს (ულისეს), რომელიც არასდროს დაბრუნებულა ითაკაზე, გმირს *ნოსტოსის* (სახლში დაბრუნების) გარეშე. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ, თუ რის გამო გადაწყვიტა დანტემ შეეცვალა ოდისევსის (ულისეს) ისტორია და რატომ მოხვდა იგი *ჯოჯობეთის* ჯურღმულში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვანი ნაწარმოებების, მიმართებებს, როგორებიცაა: დანტე ალიგიერის *ღვთაებრივი კომედია*, ჰომეროსის *ოდისეა* და ვირგილიუსის *ენეიდა*. ვიხელმძღვანელებთ ავტორიტეტული მწერლებისა და მკვლევარების ნაშრომებით, რათა წარმოვადინოთ ის ძირითადი ინტერპრეტაციები, რომლებიც დაგვეხმარება საკითხის ნათლად ჩამოყალიბებაში. კვლევა დანტესეული ულისეს (ოდისევსის) შესახებ პირველად

არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე, ძირითადად, ემყარება დანტეს შემოქმედების მკვლევართა ნაშრომებს. მასში განხილულია ვირგილიუსის *ენეიდაში* წამოჭრილი პრობლემატიკა ბერძნული და რომაული ეთიკის მიმართებით, რაც დანტეს მიერ გმირის უარყოფით ქრილში წარმოჩენაში აისახება; ოდისევსის (ულისეს) იმპლიციტური კრიტიკა, რომელიც თან სდევს დანტეს „მასწავლებლის“, ვირგილიუსის ნაწარმოებს. ვიმსჯელებთ, თუ რამ გამოიწვია ოდისევსის (ულისეს) დაღუპვა: ამპარტავნებამ, განუზომელმა ცნობისმოყვარეობამ თუ თაღლითურმა რჩევებმა. დანტესეული ულისეს ისტორიის ამბივალენტურობიდან გამომდინარე, მკვლევარები ვერ თანხმდებიან, თუ რა არის გმირის ჯოჯოხეთში განთავსების ფუნდამენტალური მიზეზი. ვიმედოვნებთ, აღნიშნული კვლევა მომავალში დაეხმარება ფილოლოგებსა და ლიტერატურათმცოდნეებს, ასევე, ბერძნული და იტალიური ლიტერატურის მოყვარულებს თავიდან აღმოაჩინონ დანტეს ულისე-გმირი *ნოსტოსის* გარეშე.

## Abstract

Homer's Ulysses (Odysseus) is known as a distinguished Greek warrior, "equal to Zeus in wisdom", a shrewd and resourceful hero. We admire his caution, foresight, strength and most importantly, his knowledge. At the same time, we are amazed to discover that Dante Alighieri portrays Homer's favorite character in the "Divine Comedy", in particular, in the eighth circle of Hell, named *fraudulent counselors*. The Odyssey describes the adventures of Odysseus, the ruler of the island of Ithaca, who will not be able to return home for ten years after the end of the Trojan War, as his way is cursed by the god of sea -Poseidon. The Odyssey ends with the return of the protagonist to Ithaca, who defeats suitors who were competing for Penelope's hand in marriage and restores his original condition. Dante completely changes the story of Odysseus (Ulysses). Instead of returning home, the Greek hero decides to leave his home and family seeking to gain eternal truth. Accordingly, we meet with Dante Odysseus (Ulysses), who never returned to Ithaca, the protagonist without *Nostos* (returning home). Our goal is to find out why Dante decided to change the story of Odysseus (Ulysses) and why he was thrown into the dungeon of hell.

For the purpose of the study, we discuss the references of such important works as The Odyssey of Homer and The Aeneid of Virgil. We will be guided by the works of authoritative writers and researchers to provide key interpretations that will help us to clarify the issue.

The research on Dante's Ulysses (Odysseus) is presented for the first time in Georgian language, mainly based on the researches of scholars of Dante's work. It discusses the problems raised by Virgil in the Aeneid of Greece and Roman ethics, which are reflected in Dante's portrayal of the protagonist in a negative light, the implicit criticism of Odysseus (Ulysses), which accompanies the work of Dante's "teacher", Virgil. We will judge what

caused the death of Odysseus (Ulysses): arrogance, immeasurable curiosity or fraudulent advice.

Given the ambivalence of Dante's Ulysses story, scholars can not agree on what is the fundamental reason for placing the protagonist in hell. We hope that this research will help philologists and literary critics in the future, as well as lovers of Greek and Italian literature, to rediscover Dante Ulysses - the protagonist without Nostos.